1. აქციის პერიოდი და თარიღი

1.1. აქცია ჩატარდება 2022 წლის 6 ივნისიდან 2022 წლის 17 ივლისის ჩათვლით;

2. აქციის დეტალური აღწერა

2.1. აქცია მოქმედებს მხოლოდ თიბისი ბანკის ბიზნეს (სტარტაპ) ბარათით, **თიბისი ბანკის ტერმინალში ან ნებისმიერ ონლაინ საიტზე გადახდის შემთხვევაში;**
2.2. აქციაში მონაწილეობს ბარათი, რომლითაც შესრულდა მინიმუმ 50 ლარიანი 10-ზე მეტი ტრანზაქცია;
2.3. საეჭვო გატარებების აღმოჩენის შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას, კონკრეტულ მომხმარებელს შეუზღუდოს აქციაში მონაწილეობის უფლება;
2.4. ბარათის მფლობელების მიერ ტოლი რაოდენობის გადახდების განხორციელების შემთხვევაში, დასაჩუქრდება ის მომხმარებელი, რომლის მიერ შესრულებული ჯამური თანხა გადააჭარბებს სხვა მომხმარებლის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციების ჯამური თანხას;
2.5. სავაჭრო ობიექტის ერთ ფილიალში 24 საათის განმავლობაში განხორციელებული გადახდებიდან მონაწილეობას მიიღებს პირველი გადახდა;
2.6. გადახდა შესაძლებელია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში დროის ინტერვალის დაცვის გარეშე;
2.7. გადახდა შესაძლებელია ერთი და იმავე სავაჭრო ობიექტის სხვადასხვა ფილიალში დროის ინტერვალის დაცვის გარეშე;

3. მომხმარებლისთვის მოგების შესახებ ინფორმირება

3.1. გამარჯვებული მომხმარებლები მიიღებენ საინფორმაციო შეტყობინებას ელ.ფოსტის მისამართზე და ასევე ბანკის წარმომადგენელი განახორციელებს სატელეფონო ზარს აღნიშნული აქციის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის შემდეგ.

4. როგორ მოხდება კლიენტისთვის საჩუქრების გადაცემის პროცედურა

საჩუქრის გადაცემა მოხდება თიბისის იმ ფილიალში, რომელსაც აირჩევს გამარჯვებული ერთობლივად შეთანხმებულ დღეს.